№ 3

კვირა, 19 იანვარი 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 22 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877 — 1897

# ივერია

№ 3

კვირა, 19 იანვარი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

სამღრთო სჯულის მასწავლებელი ამიერ-კავკასიის ქალთა ინსტიტუტისა **დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი** აუწყებს და სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა, რათა მობრძანდნენ ორშაბათს, 20 იანვარს, ვერის იოანნე ღვთის-მეტყველის ეკკლესიაში, სადაც იქნება გარდახდილი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისის მეუღლის **მართა დიმიტრის ასულის** სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.

(1—69—1)

## „ივერია“
გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 11 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверія“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მაისის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით, იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

ამ მიმდინარე 1897 წლისთვის
მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

## „ცნობის ფურცელზედ“

ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიუვა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი“, შედგენილი გალ. გუნიას მიერ.

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი დირს ყველგან 3 კაპ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, Фрейлинская, № 13.**
**Редакція „Цнобисъ Пурцели“.**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახიქირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

მქ. ქალი **ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. შუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. შუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

**ქართული თეატრი**

კვირას, 19 იანვარს, 1897 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ქ-ნ. ავალიშვილისა ბ-ნ ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## და-ძმა

დრ. 5 მოქ. თხზ. ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა და სხვ. ბ-ნნი ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი კ. ყიფიანი.
ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

ტფილისი, 18 იანვარი.

ამას წინად ერთს სახლში ერთს საუბარს შევესწარით. ერთი ჭაღარამოსილი კაცი, გულზედ მოსული, ეხლანდელს დროებას უჩიოდა და სხვათა შორის ამბობდა: ეს რა ღმერთი გაგვიწყრა ქართველობასა! ყველგან, სადაც-კი ადამიანი სცხოვრობს, ყველაფერი წინ მიდის, წარმატებაშია. სიმდიდრე გინდათ—ჰმატულობს, ცოდნა გნებავთ—ძლიერდება, ზნეობას და მართებულებას, პატიოსნებას და ნამუსს იკითხავთ, ყველა ესენი აღორძინებასა და მატებაშია და ჩვენში-კი რაღაც ღვთის წყრომაა. დღე არ გავა გლახა-მათხოვარა კარს არ მოგვადგეს და ღმერთით და ღრეჭით ლუკმა პურს არ გვემუდარებოდეს. დღეს რომ ერთი იყოს, ხვალ ათი და თხუთმეტი პირ-დაღებული შემოგცქერის, აცა იქნება გადმოგვიდოს რამეო. ასეთს ხალხს აუღია თავი და გლახაობს, რომ ცალკე სირცხვილი გწვავს, ცალკე ჯავრი ბოღმასავით ყელში მოგდგომია და სჩივით, რომ სხვა არა შეგიძლიანთ-რა, და იძახით: ესეთი რა შევსცოდეთ ღმერთსა, რომ ამ დღეში ჩავცვივდითო. ამ შიმშილს და წყურვილს ვინა სჩივის? ხორცის გალარიბებასთან სულითაც დავლატაკდით. საქმე ის არის, რომ ნამუსიც აღარ არის, სირცხვილი დავკარგეთ, უკადრისებსა ვკადრულობთ და ხმის ამომღებიც არ არის, რომ ჩვენს თავზე მიგვახედოს, სამარცხვინო შეარცხვინოს,

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

ბაბიდები.—იაპონიის ჟურნალ-გაზეთები.—სახალხო ჟურნალ-გაზეთები ინგლისში.—რომანები ინგლისში.—ინგლისის ფილანტროპია.

სპარსეთის შაჰი ნასრ-ედინი, როგორც მოგეხსენებათ, ბაბის სარწმუნოების მიმდევარმა მოჰკლა. ამ შემთხვევამ ნათლად დაანახვა სპარსეთის ბეჯისა და იბლის გამგეთ, რომ ბაბიდთა მწვალებლობა ჯერ კიდევ არ მოსპობილა, არა თუ არ მოისპოს, შეიძლება შემდეგში, უფრო მაგრადაც მოიკიდოს ფეხი და ამ გვარად გამართლდეს ამ მწვალებელთა მოციქულების წინასწარმეტყველება.

ამ მწვალებლობის დაარსების ამბავი მეტად საინტერესოა: 1805-წ. შირაზში დაიწყო ქადაგება ერთმა ყმაწვილმა კაცმა, რომლის მშვენიერი შეხედულება, ალტაცებული ლაპარაკი და მჭერმეტყველება იზიდავ და აუარებელს ხალხს. იგი ასწავებდა, რომ ხალხმა მაჰმედის სჯულს გვერდი აუარა, მისი დედა-აზრი განზედ მიაგდო და უმნიშვნელო ფორმალიზმს დაუწყო დევნაო. არ ასრულებს იგი მაჰმედის სჯულს, ვინც მარტო საჯაროდ ლოცულობს, სხვადა-სხვა სალოცავზედ დაიარება და თავისს სხეულს ისახჩირებსო. მაჰმედის სჯულს მხოლოდ იგი ასრულებს, ვისი გულიც აღსავსეა ძმურის სიყვარულით და კეთილის სურვილებით, ვინც ღირსეულ საქმეთა აღსრულებას სცდილობს და დაცემულსა და გაჭირვებულს ძმას თანაგრძნობით ეპყრობაო. ჰქადაგებდა შრომის დიდებულებას და აძაგებ-და უსაქმურობასა და ქუჩა-ქუჩა ლუკმის სათხოვრად ხეტიალს. ამგვარი მაღალ ზნეობრივი აზრებით გამსჭვალული ახალგაზდა მქადაგებელი, გახლდათ ალი მაჰმედი, რომელმაც თავის თავი აღიარა, ღვთის სამეუფოს აღმადგენელად. მე „ბაბი“ ვარო ამბობდა იგი, ე. ი. თავის თავს „ცნობადის ბჭედ“ უწოდებდა. აღირჩია 18 მოციქული (18 მისის აზრით საღმრთო რიცხვია,) ავრცელებდა თავის მოძღვრებას სპარსთა შორის. ქალებიც ბევრი ჰყავდა მიმდევარი ბაბს, რადგან ქალთა უფლებათა დამცველობასაც ჩემულობდა. ერთი ამ ქალთაგანი მეცნიერი ქურეიტ-ელ აინი შესანიშნავ მის მოწაფედ გაჰხდა. ამ ქალის სიმშვენიერე მთელს სპარსეთში განთქმული იყო და მეტ სახელად „ცარინ ტაი“ უწოდეს, ე. ი. „ოქროს გვირგვინი“. „ცარინ ტაი“ ალტაცებული თაყვანისმცემელი შეიქმნა ბაბისა და დიდაც შეუწყო ხელი მისი სარწმუნოების გავრცელებას, რადგან სილამაზე და სიმშვენიერე ყოველთვის და ყველგან დიდი თანაშემწეა ადამიანისთვის.

თავდაპირველად ბაბიდებს არა სდევნიდა მთავრობა, პირ-იქით დიდის მოთმინებითაც ეკიდებოდა. მაგრამ როცა ნასრ-ედინის გამეფების შემდეგ ბაბიდებმა აჯანყება მოახდინეს, მაშინ მთავრობამაც ხელი გამოიღო. ბაბი თავისის ერთგულის მორწმუნეებით მაზანდერანში გამაგრდა და ძალიან გაუჭირვა საქმე სპარსეთის მფლობელს. ოთხი თვე გაგრძელდა ბრძოლა მთავრობის ჯარისა და ბაბიდებს-შორის, რომელიც იმით გათავდა, რომ გასწყვიტეს ბაბიდები, ისე რომ ქალებიცა და ბავშვებიც კი არ დაუზოგავთ, რადგან არც ერთმა მათგანმა არა ჰყო უარი თავისს სჯულს.

ამგვარმა სასტიკმა მოპყრობამ ვერ შეაშინა ბაბიდები და რამდენიმე თვის შემდეგ მათ ხელახალი ომი გამოუცხადეს მთავრობას. ამ ომში შაჰის ჯარებმა გაიმარჯვეს, აჯანყებულთა მოთავენი სიკვდილით დასჯილ იქმნენ თვით ბაბიც დაატყვევეს და თოფით დახვრეტა გადაუწყვიტეს. ხოლო, როცა ჯარის კაცთა რაზმმა ბრძანებისამებრ თოფები გაისროლა, რაღაცა შემთხვევის ძალით, ტყვია არ მოჰხვდა ბაბს, მოჰხვდა ბაწარს რომლითაც შეკრული იყო და ბაწარი გასჭრა; ბაბი იქვე რაზმში დაიმალა, მაგრამ ერთმა ოფიცერმა მონახა და მოჰკლა.

27 წლის ბაბი საუკუნოდ გამოეთხოვა წუთი სოფელს. მისმა სიკვდილმა მაინც არ ჩააგდო სასო-წარკვეთილებაში ბაბიდები.. მართლაც რომ ვსთქვათ, ბაბის ქადაგებას მარტო სარწმუნოებრივი ხასიათი არა ჰქონდა; პოლიტიკური წინააღმდეგობის გამომსახველიც იყო იგი. მისი ქადაგება კრიტიკა იყო მთელის წეს-წყობილებისა და მისი აზრების განხორციელება უსათუოდ ამ წეს-წყობილების დამხობას ითხოვდა: პოლიტიკური მხარე ამ მოძღვრებისა თანდათან უფრო თვალ-საჩინო ხდებოდა და მთავრობაც უფრო და უფრო სდევნიდა ბაბიდებს. 1852 წ. როცა სამმა ბაბიდმა განიზრახა შაჰის მოკვლა, მრავალი მათგანი დახოცეს და მშვენიერი „ცარინ ტაიც“ მოჰკლეს. მრავალი მათგანი მიუსაკუთრეს სპარსეთის ამა თუ იმ დიდებულს, რომელნიც ერთმანეთს ეცილებოდნენ ბაბიდებისათვის საშინელს ტანჯვის გამოგონებაში, რათა ამით თავისი უერთგულესი ქვეშევრდომობა დაემტკიცებინათ შაჰისათვის.

ამის შემდეგ მრავალი ბაბიდთაგანი გაიხიზნა თუ რუსეთში და თუ ოსმალეთში. რომელნიც სპარსეთში დარჩნენ დიდის სიფრთხილით იქცევიან და ემალებიან მთავრობას. მაგრამ ეს მწვალებლობა მაინც ძლიერ გავრცელებულია განსაკუთრებით გა-

უნამუსობა გაჰკიცხოსო. პირ-იქით, აღარც სირცხვილი გვწავს, აღარც ნამუსი გვამხელს, აღარც სინიდისი-ღა ჰლაპარაკობს. დაეცა ზნეობა, მართებულობა. ნამუსის ქუდი მოვიხადეთ და ლაფში გადავაგდეთ, გრძნობა საკუთარის ღირსებისა დავკარგეთ და აღარაფრად მიგვაჩნია. უკადრისობა ჩვენს თვალ-წინ მალაყებს გადადის, საჭიროდაც არა ჰხადის თავი მაინც დაიმალოს, გამოდის საქვეყნოდ და ჩვენც პირში შევცინით, ვითომდა აქ ძირი არ ულპებოდეს ჩვენს კეთილდღეობას, ჩვენს კაცურკაცობას. ამ ზნე-დაცემულობისაგან ლამის ისე წავწყმდეთ, რომ ყოველ ამაების მომქმედს ბარაქალა ვუძახოთ. აბა გაგონილა სადმე იმისთანა ამბავი, რაც აქაურმა გაზეთებმა ამ დღეებში ქვეყანას მოჰფინესო. აბა რატომ დედამიწა არ უნდა გაირღვეს და შიგ არ უნდა ჩაგვიტანოსო! მთელს თავად-აზნაურობას თავზე ლაფი გვესხმის. ნუ თუ მართლა ისე დავეცენით სულით და ხორცით, რომ „სამტრედეს“ სასტუმროში ცხვრებსავით გვერეკებიან, გვაჭმევენ, გვასმევენ მარტო იმისათვის, რომ მივიდეთ ბანკში არჩევანების დროს და კენჭი, ეგ გამომეტყველი ჩვენის სინიდისიანის ხმისა და განაჩენისა, ავილოთ და საცა სხვამ გვანიშნოს, იქ ჩავუძახოთ და ამით ვგმოთ სული და ხორციცაო. გესმით, რაებს ამხელს ბ-ნ არუთინთვის საჩივარი, „სამტრედის“ სასტუმროს ამბავი. რაო? ეს ჩვენი ქვეყანა ბაზარია, საცა სინიდისი გამყიდავსაც ჰშოულობს და მსყიდველსაცა, თუ რა ღვთის წყრომაა ჩვენს თავზე!... ეს რა მოგვდისო? ეს რა გვემართებაო? ვინ-ღა ვართ და რანი-ღა ვართო? რა პირით-ღა ვეჩვენოთ ქვეყანასაო? აი აქ არის ის ჭია, რომელიც ძირს გამოურღნის ჩვენს ცხოვრებას და დედამიწის ზურგიდამ აგვგვისო. ქვეყანა სიღარიბეს გაუძლებს, ხოლო საცა ზნეობა აღარ არის, იქ არც ქვეყანაა, არ ერია. ხომ თავი მოგვეჭრაო ყველას მთელის ქვეყნის წინაშე მით, რასაც გვაუწყებენ გაზეთები ამ ბ-ნ არუთინოვის საჩივრის თაობაზე: იმასაც ვინც ეს საქმე იკადრა, იმასაც, ვისაც აკადრეს და ჩვენც ყველას, ვისაც ჩვენის ქვეყნის შვილს ეძახიანო. ჯბად აიღეს აქაურმა გაზეთებმა ეს ამბავი და ვინც წაიკითხავს ამას, რა უნდა იფიქროს ჩვენზე საერთოდ და ჩვენს აზნაურობაზე საკუთრივაო?

მართლა და რა უნდა იფიქროს!..

# ახალი ამბავი

—

*** პარასკევს, 17 იანვარს, ტფილისის საბჭოს კრებაზე, სხვათა შორის განიხილეს თუ რა საშუალება იქმნას მიღებული ქუნთრუშის წინააღმდეგ, რომელიც ამ ჟამად მძვინვარებს ტფილისში. დაადგინეს: დაარსონ ერთის წლის ვადით საავადმყოფო საკუთრივ ამ სენით ავადმყოფთათვის.

*** გაზეთ. „ნოვ. ობ.“ შემდეგი წერილი მიუღია სურამის სომეხთა ეკკლესიის გამგეს: „6 იანვარს, ნათლისღების დღეს, იმ დროს, როცა სურამის სომეხთა ეკკლესიის სამღვდელოება ასრულებდა ჩვეულებრივს წესს წყალ-კურთხევისას, პოლიციის აგენტმა, რომელიც იმ დროს დაესწრო, უბრძანა სამღვდელოებას ღვთის-მსახურების წესი მალე გაათავეთო. მოთმინებიდგან გამოსულმა მღვდელმა ო. არუციანმა მიუგო, რომ სახარების შემოკლება საეკკლესიო კანონების ძალით აღკრძალულიაო ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ასეთი საქციელი ამ პოლიციელისა პირველი არ არის. ის წარსულს წლებშიაც ასე ექცეოდა ხოლმე ამ ეკკლესიის კრებულს. კარგი იქნება, რომ მთავრობა ყურადღებას მიაქცევდეს ამ ვაჟბატონის საქციელს.

*** პეტერბურგი. მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან, ამავე სამინისტროს საბჭოს წევრის ბორტინკერის თავმჯდომარეობით, დაარსდა განსაკუთრებული საბჭო, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საუკეთესო ზომები ფილოქსერასთან საბრძოლველად. როგორც ამბობენ, ამ საბჭოს წევრებად მიწვეულ იქმნებიან აგრეთვე სახელმწიფო ქონებათა და სამიწათ-მოქმედო მინისტრის რწმუნებული კავკასიაში ტ. ს. მედვედევი და ტფილისის საკონტროლო პალატის მმართველი ტ. ს. ბუტირკინი. ამ უკანასკნელთა აზრს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ექმნება კავკასიაში ფილოქსერასთან საბრძოლველ ღონისძიებათა შემუშავების საქმეში („კავკ.“)

*** როგორც გაზეთ „ნოვ. ობოზ.“-ს შეუტყვია, ბაქოში სომეხთა სასულიერო სემინარია არ დაარსდებაო თურმე თუმცა ამ სემინარიის დასაარსებლად დიდძალი ფული იყო შეკრებილი.

*** ქუთაისის საგუბერნიო მთავრობამ კავკასიის უმაღლესს მთავრობასთან დაიწყო შუამავლობა იმის შესახებ, რომ განგვიმარტეთ რა საფუძვლით უნდა გაიწეროს ხარჯის სოხუმის ოლქის მცხოვრებთა იმ ნაწილზედ, რომელიც აქაა დასახლებული რუს-ოსმალოს ომის შედეგაო.

*** განჯა. 17 იანვარს მე-43 მატარებელი შეაჩერა მე-372 ვერსზედ გზის დარაჯმა და განუცხადა, რომ ჩემს სადარაჯოს ავაზაკები დაეცნენ, რამდერჯერმე ისროლეს თოფი და მიიმალნენო. უბედურება არა მომხდარა-რაო.

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, ტფილისის გუბერნიის საერობო ბეითალს ბ-ნს შ. დედაბრიშვილს მიენდო ქალაქის საყასბოების ზედამხედველობა და აგრედვე მასვე დაევალა თვალ-ყური ადევნოს საყასბოში პირუტყვების ხოცვას, საბეითალო საქმეს და ღორთველიანის ხორცის მოსპობას.

*** ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო სოფ. მუხრანში სასოფლო აფთიაქის დაარსებისა.

*** გორი: ერთი კვირა იქნება, რაც აქ მოვიდნენ საპიორის რაზმის ჯარის-კაცები და შეუდგნენ წარსულ წელში წყალდიდობისაგან დაზიანებულ მტკვრის ხიდის შეკეთებას და ლიახვისა და ფშანის ნაპირების გამაგრებას. ჯარის-კაცებმა უნდა გააკეთონ ჯებირი ლიახვის მარცხენა ნაპირის გასწვრივ, ვიდრე რკინის ხიდამდე; ხოლო რკინის გზის ადმინისტრაცია გაამაგრებს მტკვრის მარჯვენა მხარეს და მტკვარს გადააგდებს თავისს ძველს კალაპოტში. მასალა როგორც რკინის ხიდის შესაკეთებლად, აგრეთვე ლიახვისა და მტკვრის ნაპირების გასამაგრებლად უკვე მოტანილია. რკინის გზის ადმინისტრაციას-კი ჯერ არ მოუტანია საჭირო მასალა, თუმცა მასალის მომზადებას უკვე შეუდგნენ.

*** სახელმწიფო ქონებათა და სამიწათ-მოქმედო სამინისტროსთან არსდება განსაკუთრებული საბჭო, რომელმაც უნდა შეიმუშავოს კავკასიის მადნის წყლების მოწყობის გეგმა. საბჭო შემდგარია სამთო დეპარტამენტის დირექტორის ტ. ს. დენისოვის თავმჯდომარეობით და სხვათა შორის, მონაწილეობას იღებს კავკასიის წყლების დირექტორი ბაშკიროვი. ამისდა მიუხედავად, კავკასიის მადნის წყლების სამმართველოს ექიმი სვიატლოვსკი იგზავნება სამის თვით საზღვარ გარედაო, სწერს გაზეთი „ს.-პეტ. ვედომოსტი“, რათა იქ დაწვრილებით შეისწავლოს სანიტარული და სამკურნალო ნაწილი საფრანგეთისა, ავსტრიისა, გერმანიისა, ბელგიისა და შვეიცარიის მადნის წყლებისა.

*** 9 იანვარს, გორის მაზრაში, სოფელ ნაბახტევის მახლობლად, ს. ზემო-ფლევის მცხოვრებმა გლეხმა მოსე ხაზარაშვილმა თოფით დასჭრა და გაძარცვა დაბა სურამის მცხოვრები ებრაელი იუდა ჯანაშვილი. დაჭრილი ჯანაშვილი სურამში მოყვანისათანავე გარდაიცვალა თურმე, ხოლო ხაზარაშვილი დაჭერილია.

*** ტფილისის გუბერნატორი შუამდგომლობს კავკასიის მთავარ-მართებელთან იმის შესახებ, რომ «სასოფლო საქმიო სადგომი» სოფელ ველისციხიდგან სოფელ ბაკურციხეში იქმნას გადატანილი. („ტფ. ფურ.“)

*** 2 თებერვლიდამ სამოქალაქო სახელოსნო სასწავლებელში დაიწყება საკვირაო კურსები მუშათათვის. ამ კურსებზედ, სხვათა შორის, ასწავლიან: ხატვას, ქიმიას, ხაზვას, ტეხნოლოგიას და სხვას... წლიურად სწავლის ფასი დადგენილია 3 მანეთი, რომელიც ორ ნაწილად გარდახდებათ მოსწავლეებს, ხოლო ღარიბი მუშები სრულიად განთავისუფლებულნი იქნებიან ამ გარდასახადისაგან. მასწავლებელნი არავითარს სასყიდელს არ მიიღებენ („ტ. ფ.“).

*** ქ. ერევანი. 14 იანვარს, ამ მთელის საქართველოსათვის დიდებულს დღეს აქაურს სასაზღვრო სადარაჯო ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა დეკანოზის მ. ი. იორდანაშვილის მიერ ქართულს ენაზედ წირვა და პარაკლისი. გალობდნენ ქართულად ს. ნ. კასრაძის ლოტბარობით კარბელაანთ კილოზედ. მგალობელთა გუნდს შეადგენდნენ ქნ. ელენე იოსების ასული ვაჩნაძისა, მეუღლენი ანნა და ივანე ზედგინიძენი, ვლ. კასრაძე და ბ-ნ. კოლოტაძე. დიდის სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ მეტად მშვენივრად შეასრულეს გალობა. დამსწრე ქართველ საზოგადოების სიამოვნებასა და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. მშვენივრად იმოქმედა გალობამ უცხო ტომის დამსწრე საზოგადოებაზედაც. სწორედ სახსოვრად დარჩებათ ერევნის ქართველობას დღევანდელი დღე. საზოგადოებამ გულ-წრფელი მადლობა გამოუცხადა მგალობელთ და სთხოვა, რომ კვლავაც დაეტკბოთ მათი სმენა და ეროვნული გრძნობა. ესევე გუნდი 26 იანვარს განსვენებულის ნეტარხსენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის მიცვალების წლის თავზედ აპირებს ქართულად პანაშვიდის გარდახდას.

*** გაზეთს „კავკაზ“-ში სწერია: პოლიციის მე-10 განყოფილების მო-

---

ნათლებულთ წოდებაში და სპარსეთის არისტოკრატიაში. ვინც კარგად იცის სპარსეთის ამბები, ბაბიდებს ბრწყინვალე მომავალს უქადის.

***

აღმოსავლეთის ერნი, საკვირველ გონების სიფხიზლეს იჩენენ ამა თუიმსფერში და ევროპა გაოცებაში მოჰყავთ. თუ აღმოსავლეთის ერებმა ოდესმე ცივილიზაციაში ისეთი წილი შეიტანეს როგორც ევროპისამ, მაშინ, თქმა არ უნდა, იაპონია პირველს ადგილს დაიჭერს ამ ერთა შორის. აი მაგალითად, მოისმინეთ რას ამბობს ერთი ინგლისელი იაპონიის ჟურნალ-გაზეთების შესახებ. 30 წლის წინად იაპონიაში ოცი გაზეთი ძლივს იყოო, ეხლა-კი 802 გაზეთი თუ ჟურნალი ისტამბებაო. მარტო ტოკიოში გამოდის 23 ყოველ-კვირეული გაზეთი და 56 ჟურნალი. პირველად იაპონიაში ეხლანდელ გაზეთებისთანა გაზეთი 1867 წ. ინგლისელმა გამოსცა და ამ გაზეთში თურმე იაპონიის ცხოვრებას და საზოგადო საქმეებს პირველად მან დაუწყო კრიტიკულის თვალით ყურება. იაპონელებს ეს არ მოსწონებიათ და ბევრს სცდილან რაიმე ნაირად აღეკრძალათ ინგლისელისათვის გაზეთის გამოცემა, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ, რადგან ინგლისელი იაპონიაში იაპონიის კანონს არ ემორჩილება. მაშინ ინგლისის კონსულს მიჰმართეს და კონსულმაც საჭიროდა სცნო აღეკრძალა გაზეთის გამოცემა ინგლისელისათვის, რადგან მისის აზრით, არ იყო რიგი, რომ უცხოელი ჩარეულიყო ადგილობრივ სახელმწიფოს შინაგან საქმეებში.

თავდაპირველად იაპონიის ჟურნალ-გაზეთობა მარტო განყენებულს საგნებზედ სჯიდა და პოლიტიკურს ცხოვრებას არავითარს ყურადღებას არ აქცევდა და მხოლოდ 1873 წლიდამ დაიწყო პოლიტიკურის საგნების განსჯა და ჟურნალ გაზეთობასაც სიცოცხლის ელფერი დაედო. როცა ლიბერალურმა პარტიამ თავი იჩინა და კონსტიტუციაზე ლაღადი დაიწყო, ჟურნალ-გაზეთობამ, რასაკვირველია, დიდი სამსახური გაუწია ამ პარტიის აზრების გავრცელებას და მთავრობამაც კი განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დასტამბულ სიტყვას და სასტიკი კანონები დაადგინა ცენზურისა.

ამ კანონებს დღესაც ებრძვის პარლამენტი, მაგრამ მთლად ვერ მოუსპია იგი.

საოცარი შეხედულება ჰქონიათ იაპონელთ მთავრობის მომხრე ჟურნალისტების შესახებ. მათი აზრით ვინც მთავრობას იცავს, ხალხის წინააღმდეგია და რაც უნდა დიდის ნიჭის მქონე იყოს ასეთი ჟურნალისტი, მაინც ხალხის თვალში არავითარი შეწყნარება არა აქვს. მხოლოდ სულ ბოლოს დროს ცოტა არ იყოს შეიცვალა ეს აზრი მთავრობის პოლიტიკის დაცვის შესახებ და აღარ მიაჩნიათ იმ გვარ მომაკვდინებელ ცოდვად მთავრობისაგან დადგენილი ზომების დაცვა,

რაიცა შეეხება საზოგადოდ ჟურნალისტს იაპონიაში, არ უცქერიან მას მოწყალე თვალით და იშვიათად ღებულობენ რიგიანს საზოგადოებაში. საზოგადოდ, ჟურნალ-გაზეთებში მუშაობენ ისეთი პირები, რომელთაც ვერსად მოუპოვებიათ თავის შესაფერი ბინა; ძალიან მცირე ჯამაგირს ღებულობენ და თუ ამას საზოგადოებისაგან აბუჩად აგდებასაც დაუმატებთ, კარგად გაიგებთ, რომ იაპონელის ჟურნალისტის მდგომარეობას ქართველ ჟურნალისტის მდგომარეობაც-კი სჯობნებია ზოგჯერ. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტები ასეთ მდგომარეობაში არიან, ბეჭდვითი სიტყვას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს იაპონიაში.

***

რა-კი ჟურნალ-გაზეთებზედ დავიწყეთ ლაპარაკი ისიც მოვიხსენიოთ რომ ლონდონში თურმე უკანასკნელს ხანებში მრავალ გვარი ჟურნალი და გაზეთი გამოდის განსაკუთრებით მუშა-ხალხისათვის. რასაკვირველია, არ უნდა წარმოვიდგინოთ, ვითომ ეს ახალი რაიმე გვარი იყოს ჟურნალ-გაზეთისა; აქ ის უნდა მივიღოთ მხოლოდ მხედველობაში, რომ მუშა-ხალხი სწავლობს სკითხვას, გონებით ვითარდება და ჟურნალ-გაზეთების კითხვა ერთ ერთ მოთხოვნილებად გადაჰქცევია. თუ რომელიმე გაზეთი იმ აზრს იცავს, რაიცა მუშა-ხალხისათვის უფრო მოსაწონია, ეს ხომ გაზეთის სხვაგვარობას არ მოასწავებს.

ამ გვარი გაზეთები გამოდის ხოლმე კვირაში ერთხელ, პარასკევობით ანუ შაბათობით თვით ლონდონში. რვა იმისთანა გაზეთი გამოდის რომელთაგანაც უფრო გავრცელებულია მუშათა წარმომადგენელის დეპუტატის კეირ-გერდის ორგანო „Labour Leader“. კეირ-გერდი დიდს მონაწილეობას ღებულობს მუშათა მიტინგებში და ყოველს მიტინგზედ სიტყვებს ამბობს, ძალიან მახვილის სიტყვების ხმარება იცის, ხან და ხან მკვახე და ტლანქი ენა აქვს პირდაპირ ხალხისაგან ნასესხები, მეტად ცხარე პოლემიკა უყვარს და სასტიკი ირონიით აღსავსეა მისი ნაწერები; მოურიდებელი ხასიათის წერა იცის და მეტის-მეტი გამოკიდება იცის პირადობისა, რაიცა უმაღლესის საზოგადოების წარმომადგენლებს არაფრათ მოსწონთ. მისი გაზეთი მარტო ეკონომიურს საგნებს აქცევს ყურადღებას და სხვა ყოველივეს უმნიშვნელოდ ჰხადის. ხოლო მეორე გაზეთი კი „Renialdis News“ სულ სხვა გზით მიდის; მისი რედაქტორი ტომსონი კოლლექტივისტია და ეკონომიურს კითხვებს ძალიან ცოტა ადგილს უთმობს თავისს გაზეთში. ამ გაზეთს აზრადა აქვს პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდა გაუნათლებელის მკითხველისა. ტომსონის გაზეთში პირველი ადგილი უკავია საზოგადო ცხოვრების მოვლენათ და მათ კრიტიკულად განსჯას; გარდა ამისა მრავალ ფილოსოფიურს ეტიუდსა სწერს ტომსონი თავისს გაზეთში, ისეთს ეტიუდებს, რომელნიც ჩვენებურის განათლებულისათვისაც კი შეიძლება გაუგებარი იქმ-

ხელეებმა, ბოქაულის თანაშემწის მეთაურობით, აღმოაჩინეს ქურდები, რომელთაც ბ-ნ ლუკასოვის სახლიდგან მოეპარათ 200,000 ათას მანეთამდე ფული და სხვა ქაღალდები. თვით საქმის გარემოება ცხადადამტკიცებდა, რომ ეს ავაზაკობა თვით შინაურ მოსამსახურეთა ვებრალი უნდა ყოფილიყო. ეს აზრი კიდეც გამართლდა. პოლიციამ რკინის გზის სახელოსნოში მოსამსახურე ზეინკალის ვასილ კორსუნსკის სახლში აღმოაჩინა: 15 მომგებიანი ბილეთი, 145 მანეთის ტფილისის საკომერციო ბანკის ბილეთები და 400 მანეთამდე ფულად. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ბ-ნ ლუკასოვის გაქურდვა პირველად განიზრახა თურმე ლუკასოვისვე მოსამსახურემ გუშჩინმა. როცა ეს უკანასნელი საკმაოდ გაეცნო ლუკასოვის ბინას, გაანდო თურმე თავისი აზრი ზემოხსენებულ კორსუნსკს, რომელმაც თანხმობა გამოუცხადა და კიდეც შეადგინა მოქმედების გეგმა. 15 იანვარს საღამოს გუშჩინმა დამალა თურმე თავისი ამხანაგი ლუკასოვის სახლის ქვედა სართულის ერთს ცარიელს ოთახში და, როცა ყველას დაეძინა, ბოროტ-მოქმედნი შეიპარნენ ლუკასოვის კაბინეთში, ამოიღეს გასაღები საწერის სტოლის ყუთიდგან, გააღეს რკინის ყუთი, რომლიდგანაც ამოალაგეს ფული და ქაღალდები. აი ეს ფული და ქაღალდები აღმოაჩინა პოლიციამ კორსუნსკის სახლში. გუშინ, 17 იანვარს, საგანგებო გამომძიებელმა ბ მა დანილოვმა, საქმე სასამართლოს გადასცა და დაპატიმრებული გუშჩინი და კორსუნსკი-კი მეტეხის ციხეში გააგზავნა.

*.* ვარვარინა: 18 იანვარს, მე 169 ვერსზე იპოვნეს გასრესილი გვამი მემაშინის თანაშემწის მიხეილ გოგიჩაშვილისა.

---

## დამკვირდი

— საიდუმლოება უმაწვილის აღზრდისა იმაში მდგომარეობს, რომ კაცმა იცოდეს ბრძნულად დროთა ხარჯვა.

სპენსერი.

**

მაღ-ღონე შვილისა არ შესაძლოა იქმნას ცუდად ნასაზრდოებ ტვინიდამ.

სპენსერი.

**

ყველამ იცის, ვისაც კი ბუნება უცვნია, რომ თუ სხვა-და სხვაობა არ არის, არც პროგრესია: სხვა-და-სხვაობა რომ არ იყოს, სიცოცხლეც არ წარიმატებოდა.

სპენსერი.

**

მე მეჯავრება ის ამაო გულკეთილობა, რომელიც ესარჩლება სულელობას და იხსნის დამსახურებულ სასჯელისაგან. ვინც მუდამ ხელს აფარებს სულელს, იგი ქვეყანაში სულელებს ამრავლებს.

სპენსერი

---

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

ხომ წაიკითხეთ „სასამართლოს მატიანე“.

იგი მართლა რომ მატიანეა, მაგრამ, მარტო, სასამართლოსი-კი არა, არამედ მთელის ჩვენის ცხოვრებისა.

დიაღ, შეიძლება „საქართველოს მატიანე“ ვუწოდოთ.

ეს მატიანე ერთი ფურცელია ახალის „ქართლის ცხოვრებისა“!.

აბა წაიკითხეთ და დაუფიქრდით. მოწმენი ამბობენ:

„ქეიფობდნენო, ამტვრევდნენო ფანჯრის მინებსა და ავეჯს, კენჭის ჩამოსატარებლად იყვნენ ჩამოყვანილნიო; სვეს, ჭამეს, იქეიფეს, ფული არ მისცეს, ჩხუბი ასტეხესო, დაამტვრიეს და მილეწეს ყველაფერიო.

ყოველი სიტყვა, თუ მართალია, მარგალიტია, რასაკვირველია, თვალითის შთამომავლობისა-კი, და ისეთის სავსებით აღნიშნავს ჩვენს აწინდელს ცხოვრებას, რომ მომავალს მემატიანეს განუმარტებლად შეუძლიან შეიტანოს თავისს მატიანეში. იგი იქნება სრული სურათი იმისი, თუ „რა ვიყავით, აწ რაღა ვართ!“

იკითხავთ, სად მოხდაო.

„სამტრედლო“-ში.

მაგრამ მტრედები-კი არ გეგონოთ, ეს მშვიდნი ფრინველნი, ტურფად მოღუღუნენი.

ან განა რა ღუღუნი იქნებოდა, თქვენს მზეს, ავეჯისა და ფანჯრების მტვრევა და ლეწვა?!.

განა მტრედმა ქეიფი იცის და მერე ისიც სმა-ლოთობით?!.

ხომ მოგეხსენებათ, ადამიანსა და პირუტყვს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ პირუტყვი სვამს მხოლოდ მაშინ, როცა უნდა, და ადამიანი მაშინაც, როცა არ უნდა.

თუნდა აქლემს შევადაროთ ადამიანი.

აქლემს შეუძლიან მთელი ორი კვირა იმუშაოს უსმელად, ადამიანს ძალ-უძს ორი კვირა სვას თით-გაუნძრევლად.

ბარაქალობაც ამასა ჰქვიან!

ადამიანები ყოფილან, მაშ?!.

არა, არა, ოთხმოცი აზნაური ქართველობისა!

ვდუმებთ იმის შესახებ, რომ „კენჭის ჩამოსატარებლად იყვნენ ჩამოყვანილნიო“, თუმცა აქ ბევრი ითქმოდა ფრიად საგულისხმო, ჩვენი დიდად დამასურათხატებელი.

არც ამ ამბის ზნეობრივს მხარეს შევეხებით.

რაც სჩანს, იმას ფარდის ახდა აღარასჭირია.

მაგრამ აგერ ჩვენის ცხოვრების მემატიანე სწერს:

„შეკრბნენ ყოველის მხრით თავადნი და აზნაურნი მრავლად, ეკვეთნენ მტერს და ფეხ-და-ფეხ მისდევდნენ, ჰკაფავდნენ და ჰლეწავდნენ. მრავალმა... აზნაურმა ისახელა ამ დღეს თავი“.

და იქვე:

„შეკრბა ოთხმოცი აზნაური და ჰქეიფობდნენ, ამტვრევდნენ ფანჯრის მინებსა სვეს, ჭამეს, იქეიფეს, ფული არ მისცეს, იჩხუბეს“...

და ბოლოს თავად-აზნაურნი და არუთინოვი მომრიგებელ-სასამართლოს წინაშე!..

უკეთესი შედარება ყოვლად შეუძლებელია!

ეს გახლავთ პასუხი პოეტის გულის ვარამით აღმონაკვნესის სიტყვებისა:

„რა ვიყავით, აწ რაღა ვართ“...

ესვეე არის მიზეზი პოეტისა და პოეტთან ერთად ჩვენის სურვილისაც,

„რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით!“

ჩიორა

---

## 1896 წლის მოკლე მიმოხილვა.

თუ საზოგადოდ ჟურნალ-გაზეთებს ჩვეულებად აქვთ მიღებული ყოველ პირველ იანვარს მკითხველებს მიაწოდონ მოკლე მიმოხილვა წარსულის წლისა და მქრალად მაინც გაუთვალისწინონ მთელის წლის საზოგადოებრივი მაჯის ცემა, ამ მხრით უფრო მეტი მოეთხოვება გაზეთ „ივერიას“. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთის ქართულის გაზეთის საშუალებით ადევნებს თვალ-ყურს საზოგადოებრივს ცხოვრებას, მაშინ ადვილად მივხვდებით, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენის მკითხველებისა ამ რვა თვის განმავლობაში სრულიად მოკლებული იყო საჭირო ცნობებს. ამიტომ, ჩვენის აზრით, მეტი არ იქნება შეძლებისა და გვარად თვალი გადავავლოთ წარსულ წელს და მისი უფრო თვალსაჩინო მომენტები მაინც მოვაგონოთ მკითხველებს.

წარსულის წლის განმავლობაში რუსეთის შინაგანმა ცხოვრებამ ბევრი რამ საყურადღებო დაგვანახვა. თვით პირველ იანვრიდან რუსეთი დიდის ამბით ემზადებოდა 14 მაისისთვის, როცა მოსკოვში უნდა მომხდარიყო გვირგვინის კურთხევა მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა. ამ რუსეთის ისტორიაში დაუვიწყარს დღეს მოჰყვა ყოვლად მოწყალე მანიფესტი, რომლის ძალითაც მრავალი შეღავათი მიენიჭა რუსეთის ქვეშევრდომთ. განუსაზღვრელი იყო ამ დღეს რუსეთის ერის სიხარული, როცა იგი თავისს ძველის-ძველ დედა-ქალაქში ჰხედავდა ახალგაზდა გვირგვინოსანს პატრონს. მაგრამ ამ საერთო სიხარულს ჰმუნვის ღრუბელი მოჰფინა 18 მაისს ხოდინის ველზე მომხდარმა უბედურებამ, რომელმაც ათასობით კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა. რუსეთის უმაღლესს სამმართველო სფერაში დიდი ცვლილება მოხდა წარსულს წელს: გარეშე საქმეთა მინისტრად, თავადი ლობანოვ-როსტოვსკის მაგიერად, დაინიშნა შვეციაში რუსეთის ელჩად ყოფილი გრ. მურავიოვი. მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კანცელარიის მთავარ-მართებლად დაინიშნა გოფ-მარშალი ტანეევი. ვარშავის ღენერალ გუბერნატორად, გრაფ შუვალოვის მაგივრად, დაინიშნა თავადი იმერეთისა; ეს არის ძე იმერეთის ბატონიშვილის კონსტანტინესი და პირდაპირი მემკვიდრე იმერთ მეფე სოლომონისა. ამ მხრით კერძოდ საქართველოსთვისაც თვალ-საჩინო ცვლილება მოხდა: გარდაცვალებულ კავკასიის მთავარ-მართებელის შერემეტიევის ადგილზედ დაინიშნა გენერალ-ადიუტანტი თ-დი გრიგოლ სერგის ძე გოლიცინი.

ხოდინის ველზე მომხდარ სამწუხარო შემთხვევასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტში მომხდარ არეულობას, რომელიც თვით „მმართველობის მოამბეს“ მე 215 №-ში იყო გამოცხადებული და, რომელმაც მრავალის მშობლის გული აატოკა და მწუხარების ცრემლები მოადინა თვალებზედ. როგორც „მმართველობის მოამბე“-ში იყო მოხსენებული, ხოდინის ველზე მომხდარ უბედურების გამო ადმინისტრაციის მოქმედებით უკმაყოფილო ახალგაზდობამ, ამ დღიდან სწორედ ექვსის თვის შემდეგ განიძრახა დახოცილთა სულის მოსახსენებლად პანაშვიდის გარდახდა და დემონსტრაციების მოხდენა, მაგრამ მთავრობამ წინდაწინ შეიტყო ესა და ყოველივე ზომა მიიღოს, რომ შეეყენებინა იგი.

თვალ-საჩინო ცვლილებანი მოხდა აგრეთვე საფაბრიკო და საქარხნო ინსპექციაში, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო განაგებს. საქმე იმაშია, რომ 1894 წლის, 14 მარტის ცნობილ კანონის გამოცემის დროს, სახელმწიფო საბჭომ გამოაცხადა სურვილი, რომ 1884 წლის, სამი ივლისის წესდება მუშათა და მექარხნე-მეფაბრიკეთა ურთიერთ შო-

---

ნას (მაგ. „ბუდა და ინდოეთის ფილოსოფია“, „სოკრატი და საბერძნეთის ფილოსოფია“, „ვოლტერი და საუკუნე გონებისა“, „კანტი და სუპერნატურალიზმი“, „შოპენჰაუერი“, „დარვინიზმი“ და სხ.) ტომსონის გაზეთს 100,000 ხელის მომწერი ჰყავს.

***

მაგრამ ყველაზედ მომეტებულად გავრცელებული ინგლისში მაინც რომანი ყოფილა. წელიწადში თურმე ლონდონში 1000 რომანი გამოდის. მართალია, ბევრი მათგანი ისეთია, რომ გაწვრთნილსა და დახელოვნებულს კრიტიკოსს პირველისა და უკანასკნელის გვერდის წაკითხვის მეტი არა სჭირია-რა, რომ მთელი მოთხრობა გაიგოს სავსებით, მაგრამ ისეთებიც კი არის, რომელიც ევროპის ყურადღებას იქცევს. ამ გვარი რომანების მწერალია ვალტერ ბეზანტი, რომელიც კაცობრიულ გრძნობებით აღსავსე ნაწერებში, გვიხატავს ბეჩავს ხალხს და ყოველთვის სცდილობს სიბრალული აღგვიძრას ბედისაგან დაჩაგრულთა მიმართ. და არა თუ მარტო წერით, მოქმედებითაც იმასა სცდილობს, რომ ღარიბსა და ღატაკებს შეეწიოს, მათი უბადრუკი ცხოვრება გააუმჯობესოს და ზნეობრივად აღამაღლოს იგინი.

თუმცა ბეზანტი ძალიან მოსწონს ინგლისის განათლებულს წრეებს, მაგრამ ვერც ნიჭითა და ვერც სახელით, მაინც ვერ შეედრება მისტრის უორდს, ავტორს „რობერტ ელსმერ“-ისას, „დავით გრივ“-ისას და „მარჩელი“-სას. პირველი მისი რომანი 130,000 ცალი გაიყიდა და ორი უკანასკნელი დაბეჭდვისათანავე დაიტაცეს. ყოველ მის რომანში მაღალი აზრებია გატარებული. „რობერტ ელსმერში“ მისტრის უორდი სცდილობს სარწმუნოება და მეცნიერება მოარიგოს და ისეთს სარწმუნოებას გვიქადაგებს, რომელიც ყოველსავე დოღმატს უარსა ჰყოფს და რომელიც ამ გვარად ყველას დამაკმაყოფილებელი იქმნება მეცნიერისაცა და მორწმუნისაც. „მარჩელაში“ სოფლის პროლეტარიატი ჰყავს აწერილი და თვით უდიადესი ზნეობრივი აზრებითა და ლტოვილებით არის აღსავსე ეს მისი ნაწერი. ეს ქალიც თავისს აზრების განხორციელებასა სცდილობს ცხოვრებაში და ამიტომაც გააშენა სახლი სახალხო კითხვების გასამართავად.

საუკეთესო მწერალთა რიცხვში უნდა ჩაითვალოს ტომას გერდი, რომელიც სოფლის ცხოვრებას გვისურათებს, გალ კეინი და ახალგაზდა მწერალი კიპლინგი.

***

ან რა გასაკვირალია მწერლები ჩემულობდენ ფილანტროპობას, როცა უბრალო მომაკვდავნიც კი ინგლისში გატაცებულნი არიან საქველ მოქმედო საქმეებით. შესანიშნავი ამათგანი ბარნარდო გახლავთ რომელმაც დააწესა თავ შესაფარი „უდედ-მამო ბავშებთათვის“. მეტად საინტერესოა, ის ამბავი, თუ როგორ მოუვიდა ბარნარდოს თავში ამგვარი აზრი. ხოლერობის დროს ბარნარდო კომისსიაში თურმე ჩაიწერა და მხნედ და ენერგიულად შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას, ამ ხანში გაიცნო მან გაჭირვება ხალხისა მისი უვიცობა, მისი სილატაკე. ბარნორდომ გარდასწყვიტა მათხოვართა შვილებისათვის აგებულ სკოლაში სიარული და სწავლება ყმაწვილებისა. ერთხელ შეჰხედა, რომ ერთი პატარა ბავშვი არ იძვრის ადგილიდან თუმცა გაკვეთილი გათავდა. ბარნარდომ უბრძანა ბავშვს სახლში წასვლა.

— გევედრებით, ბატონო, ნუ გამაგდებთ, — უპასუხა ყმაწვილმა. — ნება მიბოძეთ აქ დავრჩე, არაფერს წავახდენ.

— აქ დარჩენის ნება მოგცე? — გაკვირვებით, წამოიძახა ბარნარდომ, მერე დედაშენს რა უთხრა?

— მე დედა არა მყავს. — უპასუხა ბავშვმა.

— მაშ მამას?

— არც მამა მყავს და თავის დღეშიაც არ მყოლია?

— რას ბოდავ? როგორ, დამცინი თუ რა არი? თუ დედ-მამა არა გყავს ნათესავი მაინც გეყოლება, ან ნაცნობი, რომელიც გპატრონობს. სადა სცხოვრობ?

— არსად. — უპასუხა ბავშვმა.

ბარნარდო სახტად დარჩა ეს სიტყვები რომ გაიგონა, ვერაფრით ვერ წარმოედგინა, თუ აუარებელი პატარა ბიჭების თავშესაფარი ქუჩების ლუსკუმები იყო და სახლის თავების ჭერები. უმეტესი ნაწილი ცის ქვეშ ატარებდნენ ღამეს მშიერნი და ტიტველნი. ბარნარდო თანა წაჰყვა ბავშვს, და თავისი თვალით ნახა საზარელი მდგომარეობა „უდედ-მამო ბავშვებისა“, მაშინ გარდასწყვიტა აეშენებია მათთვის თავ-შესაფარი და იმ დღიდამ ამას შესწირა თავისი ცხოვრება. არ იფიქროთ, ან რაიმე დიდი სიმდიდრე ჰქონოდეს, პირ-იქით, გროში კაპეიკიც არ გააჩნდა. ენერგია და საქმის სიყვარული ყოველს ქონებასა სჯობს, და ყოვლის შემძლეა. და რადგან ამ ორი საუკეთესო განძის პატრონი იყო ბარნარდო, დღეს მისი დაწესებულება საუცხოვო მგომარეობაშია. 140,000 გირვანქა სტერლინგი შემოდის სხვა-და-სხვა შემოწირულებიდან და 80000 თანამგრძნობი წევრი ჰყავს. ეხლა 27 თავ-შესაფარი აქვს, თავ-შესაფართან სკოლაც არის აშენებული, საავადმყოფო, სამუშაო ოთახები და სამაგალითო ბაღებია გაშენებული. 5,000 ბავშვი პოულობს ბარნარდოს წყალობით ჩინებულს სადგურს, საჭმელსა და სასმელს, 5,000 ბავშვს უვლის და ზრდის ეს კაცი და როცა წამოიზრდებიან კიდევ მათ დაბინავებაზედა ზრუნავს, აძლევს ზოგს სკოლაში ზოგს კარგ ადგილს უშოვის ხოლმე. აი რამდენი შეუძლია კერძო პირს, თუ მხნედა და წრფელის გულით მოჰკიდებს ხელს რაიმე საქმეს.

რის დამოკიდებულების და ქარხნებისა და ფაბრიკების თვალ-ყურის გდების შესახებ გავრცელებულ იქმნას, თუ მთელ რუსეთში არა, იმ გუბერნიებში მაინც, სადაც საქარხნო და საფაბრიკო წარმოება უფრო თვალსაჩინოდ არის განვითარებული. ამიტომაც ეს სამის ივლისის კანონი შემოღებულ იქმნა კიდევ რუსეთის ოც-და-ათ გუბერნიაში, გარდა იმ ხუთის გუბერნიისა, სადაც 1894 წლიდან მოქმედებდა იგი. წარსულ წელს იგივე კანონი შემოღებულ იქმნა კიდევ ვილნოს და კოვნოს გუბერნიებში.

19 ივლისს „მმართველობის მოამბეში“ გამოცხადდა პეტერბურგის ზოგიერთ ფაბრიკებში მუშათა გაფიცვა, რომელმაც რამდენიმე ხნით მაინც შეაჩერა საქმის ჩვეულებრივი მიმდინარეობა. მუშათა გაფიცვა დაიწყო 14 მაისს, 5 ივლისამდე თანდათან გაძლიერდა და 19 ფაბრიკას მოედო. გაფიცულები თხოულობდნენ სამუშაო დღის თორმეტ საათის დაწესებას და სხვა... უკმაყოფილო მუშათა რიცხვი 15 ათასს კაცს აღემატებოდა. მუშათა ამბოხება გასტანა 17 ივლისამდე და ისე წესიერად ეჭირათ თავი, რომ არავითარი ძალ-მომრეობა არ უხმარიათ; მაგრამ რადგანაც პოლიციამ აღმოაჩინა 25 სხვა და სხვა სარევოლიუციო ის შინაარსის ფურცლები: ამიტომ ამ საქმეს პოლიტიკური ხასიათი მიეცა.

რუსეთის კულტურის ისტორიაში თვალ-საჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს სრულიად რუსეთის სამრეწველო გამოფენა, რომელიც წარსულის წლის 28 მაისს გაიმართა ნიჟნი ნოვგოროდში. გამოფენამ გასტანა ოთხს თვეს (28 მაისიდან 30 სექტემბრამდე). მთელს ამ ხნის განმავლობაში იგი დაუთვალიერებია მხოლოდ 902 ათასს კაცს. რა თქმა უნდა, ეს ერთობ მცირე და უმნიშვნელო რიცხვია ისეთის ჩინებულად მოწყობილ და მრავალ-ფეროვან გამოფენისათვის, როგორიც იყო ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენა; მაგრამ ამის უმთავრესს მიზეზად ჟურნალ-გაზეთები თვითონ ამ ქალაქის პროვინციალურ მდგომარეობას ასახელებენ. ეჭვს გარეშეა, რომ ეს გამოფენა რომელსამე სატახტო ქალაქში ხალხსაც გაცილებით მეტს მიიზიდავდა და ერთი ორადაც სასარგებლო იქმნებოდა. თვით გამოფენა საუცხოვოდ იყო თურმე მოწყობილი და მთელის ოთხის თვის განმავლობაში ყველა მსურველს შეეძლო სრულიად და სავსებით გაეცნო რუსეთის ყოველ-გვარი გონებრივი და ეკონომიური ნაწარმოები და გაეთვალისწინებინა თუ რა დიდი ნაბიჯი გადადგა ამ მხრით რუსეთმა ამ ოციოდე წლის განმავლობაში.

ამ გამოფენის პირდაპირ შედეგად უნდა ჩაითვალოს სრულიად რუსეთის საალებ-მიცემო და სამრეწველო კრება, რომელიც ნიჟნი-ნოვგოროდში დაიწყო 4-ს აგვისტოს. კრეიის უმთავრესს დანიშნულებას შეადგენდა ახსნა და განმარტება მრეწველობისა და ალებ-მიცემობის უსაჭიროესი საგნებისა, რომელთა შორის უფრო საყურადღებო იყო სასოფლო სამეურნეო იარაღზედ ბაჟის შემცირებისა და მუშათა უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის შესახები საგნები. ორსავე ამ კითხვამ გამოიწვია ხანგრძლივი და ცხარე კამათი, რის შემდეგაც კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა: იშუამდგომლონ, ვისთანაც ჯერ არს, სასოფლო-სამრეწველო მანქანების ბაჟისაგან განთავისუფლება და თუ ეს სულ შეუძლებელი იქმნება, მაშინ დაკლებულ იქმნას ბაჟიიმ მასალისა, რომლიდგანაც კეთდება ეს მანქანები. კრებამ დაადგინა: იშუამდგომლონ, რათა შემოღებულ იქმნას სავალდებულო კანონი მუშათა დაზღვევისა. და აგრეთვე გამოაცხადა სურვილი, რომ კანონ-პროექტი ფინანსთა მინისტრისა, მუშების უბედურ შემთხვევის დროს მწარმოებელთა მიერ პასუხისგების შესახებ, რაც შეიძლება მალე იქმნას პრაქტიკულად განხორციელებულიო.

ამ უკანასკნელს წლებში თან დათან მატულობს და იზრდება სახელმწიფო შემოსავალი, მაგრამ წარსულ წელს მაინც თვალ-საჩინოდ გადიდდა იგი. როგორც ამას წინად გამოცხადებულ დაახლოვებით ცნობებიდან სჩანს, 1895 წელ-ს ცხრა თვის განმავლობაში, — ესე-იგი პირველ იანვრიდან პირველ ოქტომბრამდე, — სახელმწიფო შემოსავალი უდრიდა მხოლოდ 818 მილიონ მანეთს; წარსულ წელს კი იმავე დროს განმავლობაში შემოსულა 896 მილიონი მანეთი, ესე იგი 78 მილიონ მანეთით მეტი. სახელმწიფო შემოსავლის ასე თვალსაჩინოდ გაძლიერების მიზეზად ასახელებენ სახელმწიფო რკინის გზებს, რომლიდანგაც წარსულის წლის ცხრა თვის განმავლობაშიხაზინ ს შემოსვლია 201 მილიონი მანეთი, მაშინ, როცა 1895 წ. იმავე დროს განმავლობაში მხოლოდ 126 მილიონი მანეთი შემოსავალი.

ხალხის განათლების საქმემ, რომელიც ტაატით მიდის რუსეთში, წარსულს წელს გვარიანად წინ წაიწია. როგორც ოფიციალურის ცნობებიდან სჩანს, განათლების საქმეს ხმარდება რუსეთში $^{1}/_{62}$ ნაწილი მთელის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვისა. კერძოდ სახალხო სკოლებს კი (დირექციეების და ინსპექციების ხარჯს გარდა) ხმარდება 1,204,159 მანეთი, რაც, თუ მთელ რუსეთის ხალხს 120 მილ. ვიანგარიშებთ, შეადგენს კაცზე 1,003 კ. ეს რა თქმა უნდა, მცირე და უმნიშვნელო რიცხვია ისეთი, დიდი, საქმისთვის, როგორიც არის ხალხის განათლება. ამას კარგად ჰგრძნობენ თვით უმაღლესს სფერაში დ წარსულს წელს სახალხო განათლების სამინისტრომ კიდეც გამოითხოვა დამატებით კრედიტი 250 ათასი მანეთი. ეს ფული ერთობ უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც ერთის ნაბიჯის წინ წადგმას მოასწავებს. ვინ იცის? „ზღვა კოვზით დაილევაო“ ამბობენ. თუ ეს მართალია, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ ზღვა კოვზითვე აივსება.

რა მოგვცა? რა შეგვძინა კერძოდ ქართველებს წარსულმა წელმა? არაფერი კარგი! სხვა წლებისა არ იყოს, არც მას დაუტოვებია ჩვენთვის ისეთი რამ, რისთვისაც ლოცვა-კურთხევით და დიდებით შეიძლებოდეს მისი მოხსენება. პირ-იქით, მან ბევრი რამ დაგვაკლო. თითქოს თავის ღირსეულ მშობელს — 1895 წელს გამოეჯიბრაო, იმანაც თვალ-საჩინო წვლილი შეიტანა ჩვენ უმისოდაც წელში გაწყვეტილი ხალხის ეკონომიურად გაღატაკების საქმეში. ვერც კი მოასწო დადგომა, რომ კინაღამ წყალს არ მისცა მთელი ქვეყანა. სიმინდი ჩვენ არ შეგვარჩინა, პური და ღვინო. მაგრამ რა გაეწყობა? „კარგია თუ ავიაო, ქალო შენი ქმარიაო“ ამბობს ხოლმე ქართული ანდაზა... კარგი იყო თუ ავი, მაინც ვერ დავტოვებთ აღუნიშნავად, რადგანაც, სხვა არა იყოს-რა, ამ ერთის წლის განმავლობაში გვიცხოვრია, გვიფიქრია, გვიმუშავნია; ბევრი რამ შეგვისწავლია, ბევრი ახალი იმედი დაგვბადებია; ბევრი იმედი გაგვცრუებია და ბევრიც გულის ცახცახით მიგვიბარებია მიმდინარე წლისათვის.

Pietro.

## რუსეთის ცხოვრება.

10 იანვარს მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის კანცელარიის იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა განყოფილების მმართველის, გენერალ-ადიუტანტის გრაფ პროტასოვ-ბახმეტოვის კარის ეკკლესიაში კავკასიის ახალი მთავარ-მართებელი თავ. ა. ს. გოლიცინი დაქორწინდა და შეირთო გრაფინია მუსინ-პუშკინისა. ახლად ჯვარ-დაწერილების მეჯვარეთა შორის მრავალი მაღალ ხარისხოვანი მოხელენი იყვნენ.

—

„გრაჟდანინის“ სიტყვით, გუბერნიების მმართველებმა მკვიდრთა საზოგადო აღწერის სიები 20 მარტამდის უნდა წარადგინონ უმაღლესის მთავრობის წინაშე.

—

ს. ი. ვიტტეს თავმჯდომარეობით შემდგარს განსაკუთრებულს კომისიას, რომელსაც უნდა გამოერკვია ნორმა სამუშაო ვადისა, როგორც გაზეთები გვაუწყებენ, დაუდგენია, რომ სამუშაო ვადად $11^{1}/_{2}$ საათი იყოსო. ეს პროექტი წარედგინება დასამტკიცებლად სახელმწიფო საბჭოს. მრავალმა მექარხნემ განაცხადა, რომ მაგ წესს ეხლავე შემოვიღებთ, სანამ იგი დამტკიცდება კანონ-მდებლობითის წესითაო.

## უცხოეთი

**ინგლისი**: პარლამენტს გარდაეცა კიდევ ერთი ლურჯი წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია ყველა დეპეშა 895 წლის დეკემბრიდგან ვიდრე 896 წლის აგვისტომდე. ამ წიგნშივეა მოთავსებული კონსულის მოხსენებანი მცირე აზიაში ქრისტიანების გაწყვეტისა, საზოგადოდ სომეხთ მდგომარეობისა დ აგრეთვე დაწვრილებითი ცნობები 896 წელს ხაურინის ომ ს შესახებ. სხვათა შორის გამოქვეყნებულია სულთანის წერილი, რომელიც გერბერტმა გადასცა სალისბიურის და რომელშიაც სულთანი მწარედ სწუხს იმ ამბის გამო, რომ ინგლისმა სომხეთის მხარე დაიჭირაო. უწინ ინგლისი მხურვალე მონაწილეობას იღებდა სულთანის ყველა ქვეშევრდომის ბედ-იღბალში, ეხლა-კი მხოლოდ სომხებს მიემხროვო, სჩივის სულთანი თავისს წერილში. ყოვლად შეუძლებელია რეფორმების შემოღება და წეს-წყობილების დამკვიდრება ოსმალეთში, თუ სომხები დღევანდელს გარემოებაში დარჩებიანო. სულთანი სთხოვს, სომხებს რამე ურჩიეთო, თორემ მე იძულებული ვიქმნები თავისუფლად ვიმოქმედო და არც არავის მივცემ ანგარიშსაო.

—

**გერმანია.** იმპერატორსა და თავ. ბისმარკს შორის დამოკიდებულება უფრო და უფრო გამწვავდა, იმპერატორმა გამოაცხადა, რომ სასახლის მინისტრის ვედელის ქალიშვილ ის ქორწინებაზედ გერბერტ ბისმარკი ნუ იქნებაო. ვედელი იძულებული შეიქნა უკანვე დაებრუნებინა მოპატიჟების ბარათი, ბისმარკთან გაგზავნილი. ამის მიზეზი ბისმარკის მიერ დაფარულ გარემოებათა ზოგიერთ გამომჟღავ ნებაა თურმე.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

პარიზში მოუგონიათ ერთნაირი ეტლი, რომელიც თავისთავად დადის უცხენოდ და უხარ-კამბეჩოდ. ამ ავტომატიურ ეტლს მანქანა აქვს ორს უკანა თვლებშუა გამართული, ოთხის ცხენის ძალისა. მანქანას ამოქმედებს ცეცხლი, რომლისათვისაც შეშის მაგიერ ნავთსა ჰხმარობენ. მანქანა სამის ცხენის ფასზე ნაკლებ თურმე სჯდება და ხარჯი ნავთზე იმის მესამედიც არ გადის, რაც ორის ცხენის შენახვას უნდება. მარტო ეს-ღაა თურმე გამოსარკვევი. უშიშარია ამისთანა ეტლი ადამიანისათვის და კარგი მშვიდობიანი მატარებელია, თუ არა. (H. B.)

* * *

ერთი გაზეთი პარიზისა — „Revue de l'islame“ იუწყება, რომ მრავალ გამოჩენილთ მაჰმადიანებს ინდოეთისას, არაბისტანისას და ოსმალეთისას მოუწადინებიათ ამ ახლო ხანში მოიწვიონ წარმომადგენელნი მაჰმადიანობისა მთელის ქვეყნისანი. ამ კრებულზე საუბარი ექმნებათ მასზე თუ — რა მდგომარეობაშია დღეს მაჰმადიანობა, რა გარემოებაშია მისი საგანი და ინტერესები. ამ ახალ საქმის თაოსანთ აზრადა აქვთ გამოარკვიონ, მაჰმადიანთა უკეთესთ წარმომადგენელთა შემოწმებით, გარეგანი მხარე ევროპის ცივილიზაციისა, რომელიც დღე და დღე ეთვისება მაჰმადიანობას, ხელს ხომ არ უშლის არსებითს ინტერესებს მაჰმადიანობისას და ხომ არ აუძლურებს და ასუსტებს მაჰმადიანობის დანიშნულებას.

* * *

— ერთი გაზეთი სახელად „Revue Scientifique“ საოცარს ამბებს აუწყებს იმ ერთ გვარის მაიმუნისას, რომელსაც შამპანზეს ეძახიან. მანჩესტერს (ინგლისის ქალაქია) საზოოლოგიო ბაღში ერთი ამ გვარის მაიმუნია თურმე. ამ ჭკუიანმა მაიმუნმა ისწავლა თურმე დანა-ჩანგლის ხმარება, როცა სჭამს და ყოველს სადილსა და ვახშამთ უკან ხელსახოცით ხელების წმენდას დაეჩვია. ყოველ ამას ძალა დაუტანებლად და დიდის სიამოვნებით მისდევს თურმე და ამაებში დიდს ხალისსაც იჩენს თავისსთავად. ამასთან იგი მაიმუნი დიდი ცნობის მოყვარეც თურმეა. სიამოვნებით აიღებს ხოლმე ალბომს სხვა-და-სხვა პირუტყვებისას და გულ მოდგინეთ გადაჰფურცლავს ხოლმე და აკვირდება ყოველს სურათს პირუტყვისას. ხოლო როცა თვალს მოჰკრავს თურმე მაიმუნის სახეს, გულზე მოდის და გაჯავრებული ალბომს ძირს დაახეთქებს, სწეწავს და ფეხითა სთელავს. ვერ გამოურკვევიათ რა სწყინდა ამ შემთხვევაში ამ მაიმუნსა? ისა რომ, თავისს მოძმეს ისე მახინჯადა ჰხედავდა, თუ ის, რომ არ უნდოდა თავისს ახლო სხვა თვისი მსგავსი დაენახა? უნდოდათ შეეტყოთ როგორ იმოქმედებს ამ მაიმუნზე მუსიკა. ხოლო ცდა ვერ მოემარჯვათ. რა წამსაც მუსიკის ხმა გაიგონა, მაიმუნმა მაშინვე მოჰკურცხლა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და თავის სადგურის შორს კუნჭულში მიიმალა. ძლივ-ძლივ გამოიყვანეს თურმე იქიდამ იგი მაიმუნი, თუმცა კარგა ხანი გასული იყო მას შემდეგ, რომ მუსიკა დაარუმეს (პ. ი. ლ.).

## დეპეშა

18 იანვარი.

**პარიზი.** დილის 11 საათზე გრაფი მურავიევი მივიდა ანოტოსთან. ბაასმა გასტანა საუზმემდის, რომელიც ანოტომ გრაფის პატივსაცემლად გამართა. მიწვეულნი იყვნენ დიპლომატები და საფრანგეთის მინისტრები.

**პარიზი.** 17 იანვარს, დილით, მელინი წავიდა რუსეთის საელჩოში გრაფ მურავიევთან სადარბაზოდ. საუბარმა, რომელსაც უგულითადესი ხასიათი ჰქონდა, $^{3}/_{4}$ საათს გასტანა.

**პარიზი.** საუზმეზე გარეშე საქმეთა სამინისტროში ანოტომ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „მე დარწმუნებული ვარ, მოწყალენო ხელმწიფენო, რომ თქვენ ყველანი შემოუერთდებით ჩემს გრძნობას ამ წუთში, როცა მე ვიღებ ჰიქას ხელში, რათა მივესალმო და მიულოცო გამოჩენილ სახელმწიფო გვამს. დანიშნულს უავგუსტოესის ნებით იმ თანამდებობის აღსასრულებლად რომელიც დაიმსახურა მისმა მაღალმა ღირსებამ და დიდებულმა ღვაწლმა ამ მოკლე ხანს ჩვენშორის თქვენი ყოფნის დროს, ბ-ნო მინისტრო, დარწმუნებული ვარ თქვენ იგრძენით, — იმიტომ რომ ეს სწრაფად საგრძნობია, — რომ ჩვენ გვიზიდავს თქვენდამი სიმპატია, მოწყალენო ხელმწიფენო, თქვენ, უთუოდ თანაზიარი იქმნებით იმ წრფელის სურვილისა, რომელსაც მე ვაცხადებ კეთილ მყოფელ მთავრობის და მეგობარის ერის სახელით. ეგრევე თანაზიარი იქმნებით იმ ჩემის იმედისა, რომ ამ მაღალ ადგილზედ გრაფი მურავიევი ხანგრძლივ ბედნიერად განაძლიერებს დიდებას და კეთილდღეობას მისის უდიდებულესობის იმპერატორ ნიკოლოზ II მეფობისას ერთა შორის კეთილ-განწყობილებას დ მათ საერთო სურვილს, მიმართულს მშვიდობიანობისა და კაცთმოყვარეობისაკენ.“ გრაფ მურავიევმა უპასუხა: „ბ-ნო მინისტრო, მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ მოვედი, თანახმად უმაღლესის ბრძანებისა, მშვენიერს საფრანგეთში და გაგიცანით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო. ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს; დ რწმუნებული ვარ, რომ ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს ჩვენს ორ ქვეყანას შორის, მომავალშიაც თავმდები იქნება მშვიდობიანობისა.“

**ბერლინი.** კვირას იმპერი ს კანცლერი გაჰმართავს გრაფ მურავიევის პატივსაცემლად სადღესასწაულო სადილს.

**კონსტანტინეპოლი.** სამხედრო სასწავლებლის დირექტორი გენერალი ტეფიკ-ფაშა საზღვარ გარედ გაიქცა.

პორტას მოლაპარაკებას ოტტომანის ბანკთან. რომ ავანსი მიეცეს მთავრობას რამაზანის სადღესასწაულოდ, არა ვითარი დასკვნა არ მოჰყვა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 18-го Января 1897 г.

სტამბა. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე